

# სს "სტანდარტბანკი"

ფინანსური ანგარიშგება

2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისურ ენაზე გამოცემული  
ორიგინალის თარგმანს

**შინაარსი**

**დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა**

საბალანსო ანგარიშგება.....1  
 მოგება-ზარალის ანგარიშგება.....2  
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება .....3  
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....4

**ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**

1. ძირითადი საქმიანობა.....5  
 2. შედგენის საფუძველი.....5  
 3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა.....7  
 4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები.....14  
 5. ფული და ფულადი ეკვივალენტები.....15  
 6. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ.....15  
 7. კლიენტებზე გაცემული სესხები.....15  
 8. დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები.....16  
 9. ძირითადი საშუალებები.....17  
 10. არამატერიალური აქტივები.....17  
 11. გადასახადები.....18  
 12. გაუფასურების რეზერვი.....20  
 13. სხვა აქტივები და ვალდებულებები.....21  
 14. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე.....21  
 15. ვალდებულებები მენაბრეთა წინაშე.....21  
 16. სუბორდინირებული სესხი.....22  
 17. კაპიტალი.....23  
 18. პირობითი ვალდებულებები.....23  
 19. წმინდა გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი.....24  
 20. ხელფასები და სხვა საოპერაციო ხარჯები.....25  
 21. ფინანსური რისკების მართვა.....25  
 22. ფინანსური ინსტრუმენტების სამარაართლიანი ღირებულება.....32  
 23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან..... 323  
 24. კაპიტალის ადეკვატურობა.....34

## დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „სტანდარტბანკის“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს –

ჩვენ ჩავატარეთ სს "სტანდარტბანკის" თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საბალანსო ანგარიშგებას 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება ზარალის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის შეჯამებასა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს.

### *ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე*

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების იმგვარად მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის, რომ იგი არ მოიცავდეს არსებით უზუსტობებს გამოწვეულს თაღლითობითა თუ შეცდომით; სათანადო ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებას, აგრეთვე არსებულ გარემოებათა შესაფერისი ჯეროვანი ბუღალტრულ შეფასებების გაკეთებას.

### *აუდიტორის პასუხისმგებლობა*

ჩვენ გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გავცეთ დასკვნა ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარმართავდით „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენ დავიცვათ ეთიკური ნორმები და იმგვარად დავუგემოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რომ მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმისა შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებაზე. რისკის ამგვარი შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც საჭიროა საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანად წარდგენისათვის, რათა შეიმუშაოს გარემოებათა შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, თუმცა არა იმ მიზნით, რომ გამოთქვას მოსაზრება საწარმოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობაზე. აუდიტი აგრეთვე მოიცავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების მიზანშეწონილობის შემოწმებას, აგრეთვე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს ქმნის ჩვენი აუდიტორული დასკვნის შესადგენად.

### *აუდიტორული დასკვნა*

ჩვენი აზრით, ზემოთაღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებით ასპექტში სამართლიანად ასახავს სს „სტანდარტბანკის“ ფინანსურ მდგომარეობას 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად.

საბალანსო ანგარიშგება

2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	ახსნა - განმარტებითი შენიშვნები	2006	2005
<b>აქტივები</b>			
ფული და ფულადი ეკვივალენტები	5	16,294	2,257
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6	7,763	860
კლიენტებზე გაცემული სესხები	7	57,304	18,978
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8	7,266	-
ძირითადი საშუალებები	9	8,537	831
არამატერიალური აქტივები	10	165	205
მოგების გადასახადის აქტივი	11	87	245
სხვა აქტივები	13	700	187
<b>სულ აქტივები</b>		<b>98,116</b>	<b>23,563</b>
<b>ვალდებულებები</b>			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	14	31,729	3,431
ვალდებულებები მენაბრეთა წინაშე	15	42,022	7,326
სხვა ვალდებულებები	13	1,983	115
მოგების გადასახადის ვალდებულება	11	75	-
<b>სულ ვალდებულებები სუბორდინირებული სესხის გარეშე</b>		<b>75,809</b>	<b>10,872</b>
<b>სუბორდინირებული სესხი</b>	16	<b>8,611</b>	<b>5,379</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>84,420</b>	<b>16,251</b>
<b>კაპიტალი</b>	17		
საწესდებო კაპიტალი		12,600	6,900
გაუნაწილებელი მოგება		1,096	412
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>13,696</b>	<b>7,312</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>98,116</b>	<b>23,563</b>

ბანკის დირექტორთა საბჭოს სახელით ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად:

გიორგი კალანდარიშვილი

გენერალური დირექტორი

ირინა ვორმანი

მთავარი ბუღალტერი

19 თებერვალი, 2007

მოგება-ზარალის ანგარიშგება

2006 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	ახსნა - განმარტებითი შენიშვნები	2006	2005
<b>საპროცენტო შემოსავალი</b>			
კლიენტებზე გაცემული სესხები		7,439	2,908
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებებისადმი		1,396	83
ფასიანი ქაღალდები		8	1
		<b>8,843</b>	<b>2,992</b>
<b>საპროცენტო ხარჯი</b>			
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე		1,151	413
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		2,288	335
		<b>3,439</b>	<b>748</b>
		<b>5,404</b>	<b>2,244</b>
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>			
საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივების გაუფასურების რეზერვი	12	1,071	223
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივების გაუფასურების რეზერვის შემდგომ</b>		<b>4,333</b>	<b>2,021</b>
<b>შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან</b>			
გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები		1,343	165
		749	124
<b>წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან</b>	19	<b>594</b>	<b>41</b>
<b>უცხოური ვალუტებით ოპერაციებიდან მიღებული მოგება-ზარალი:</b>			
- გარიგებებიდან		675	132
- საკურსო სხვაობებიდან		(74)	(80)
სხვა შემოსავალი		38	227
<b>სხვა არასაპროცენტო შემოსავალი</b>		<b>639</b>	<b>279</b>
<b>სხვა არასაპროცენტო ხარჯი</b>			
ხელფასები და პრემიები	20	2,163	1,044
ადმინისტრაციული ხარჯები	20	1,970	927
ცვეთა და ამორტიზაცია		540	199
სხვა აქტივების გაუფასურება და დარიცხვები / (ანარიცხები)	12	(24)	40
<b>სხვა არასაპროცენტო ხარჯი</b>		<b>4,649</b>	<b>2,210</b>
<b>მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე</b>		<b>917</b>	<b>131</b>
<b>მოგების გადასახადის ხარჯი (სარგებელი)</b>	11	<b>233</b>	<b>(84)</b>
<b>წლის მოგება</b>		<b>684</b>	<b>215</b>

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გვ. 5-34) წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2006 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2004 წლის 31 დეკემბერი	6,900	197	7,097
წლის მოგება	-	215	215
2005 წლის 31 დეკემბერი	6,900	412	7,312
საწესდებო კაპიტალის გამოშვება (ახსნა- განმარტებითი შენიშვნა 17)	5,700	-	5,700
წლის მოგება	-	684	684
2006 წლის 31 დეკემბერი	12,600	1,096	13,696

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გვ. 5-34) წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

**2006 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

(ათას ლარში)

	<b>აქსნა - განმარტებითი შენიშვნები</b>	<b>2006</b>	<b>2005</b>
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
მიღებული პროცენტები		8,466	2,898
გადახდილი პროცენტები		(2,421)	(676)
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო		1,343	165
გადახდილი საკომისიო		(749)	(124)
სავალუტო გარიგებებიდან მიღებული მოგებას-ზარალი		601	132
სხვა მიღებული/(გადახდილი) შემოსავალი/(ხარჯი)		48	(46)
გადახდილი ხელფასები და პრემიები		(1,732)	(1,044)
ადმინისტრაციული ხარჯები		(1,970)	(927)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>		<b>3,586</b>	<b>378</b>
<i>საოპერაციო აქტივების წმინდა ზრდა /კლება</i>			
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		(6,832)	(662)
კლიენტებზე გაცემული სესხები		(38,304)	(13,599)
სხვა აქტივები		(528)	(71)
<i>საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/კლება</i>			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		27,089	3,431
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე		34,201	3,951
სხვა ვალდებულებები		1,424	(13)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადით დაბეგრამდე</b>		<b>20,636</b>	<b>(6,585)</b>
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა თანხები</b>		<b>20,636</b>	<b>(6,585)</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა		(7,266)	(14)
ძირითადი საშუალებების შეძენა		(8,227)	(604)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(73)	(160)
არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		22	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		72	487
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა თანხები</b>		<b>(15,472)</b>	<b>(291)</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>			
საწესდებო კაპიტალის გამოშვებიდან მიღებული შემოსავალი		5,700	-
სუბორდინირებული სესხიდან მიღებული შემოსავალი		3,822	5,379
სუბორდინირებული სესხის დაფარვა		(590)	-
<b>საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა თანხები</b>		<b>8,932</b>	<b>5,379</b>
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულად ეკვივალენტებზე		(59)	(62)
<b>ფულისა და ფულადი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/კლება</b>		<b>14,037</b>	<b>(1,559)</b>
<b>ფული და ფულადი ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>		<b>2,257</b>	<b>3,816</b>
<b>ფული და ფულადი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	5	<b>16,294</b>	<b>2,257</b>

თანდართული აქსნა-განმარტებითი შენიშვნები (გვ. 5-34) წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

(ათას ლარში)

**1. ძირითადი საქმიანობა**

სს “სტანდარტბანკი” (“ბანკი”) ჩამოყალიბდა 2005 წლის 7 ივნისს, სს “საქართველოს აგრო-ბიზნეს ბანკის” ბაზაზე, რომლის აქციათა 100% შესყიდულ იქნა ოფშორულ კომპანიათა მიერ. საბანკო საქმიანობის წარმოებისათვის აუცილებელი ზოგადი ლიცენზია სს “საქართველოს აგრო-ბიზნეს ბანკმა” საქართველოს ეროვნული ბანკისგან (“სებ”) მიიღო 1999 წლის 10 დეკემბერს. ბანკმა საქმიანობა დაიწყო 2000 წლის 21 თებერვალს. “საქართველოს აგრო-ბიზნეს ბანკი” დაფუძნებულ იქნა საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, რასთან მიმართებაშიც, აღნიშნულ სექტორში დასაქმებულ ფერმერებსა თუ სხვა კომპანიებს/ფიზიკურ პირებს სთავაზობდა დაფინანსებას ეროვნულ ვალუტაში შედარებით დაბალ პროცენტში.

ბანკი ღებულობს ანაბრებს მოსახლეობისგან და გასცემს სესხებს, აწარმოებს გადარიცხვებს საქართველოს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ, ვალუტის გადაცვლას და თავის კომერციულ და ინდივიდუალურ კლიენტებს სთავაზობს საბანკო მომსახურებას. მისი მთავარი ოფისი მდებარეობს თბილისში, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 12 ფილიალი (2005 - 6). 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკში დასაქმებული იყო 267 თანამშრომელი (2005 - 71).

ბანკის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 43.

2006 და 2005 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციონერებს წარმოადგენენ:

აქციონერი	2006 %	2005 %
“Standard Capital Georgia” Ltd.	75	
“Financial Investment Management Company” Ltd.	25	
“Discovery Investment Holding” Ltd.	-	25
“Lucente Investments” Inc.	-	25
“Webster Group” Inc.	-	25
“Westfor Panally” Ltd.	-	25
<b>სულ</b>	<b>100</b>	<b>100</b>

ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, ბნ. ირაკლი რუხაძე, ბანკის საბოლოო მოსარგებლე-მფლობელს წარმოადგენს.

**2. შედგენის საფუძველი****ზოგადი ინფორმაცია**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” (“ფასს”) შესაბამისად.

მარეგულირებელი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ბანკს საქართველოს საბუღალტრო და საბანკო კანონმდებლობისა და დაკავშირებული ინსტრუქციების შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოეთხოვება ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ეფუძნება ბანკის ფასს-ს შესაბამისად კორექტირებულ და რეკლასიფიცირებულ ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განმარტებულია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში ქვემოთ. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

(ათას ლარში)

**2. შედგენის საფუძველი (გაგრძელება)**

**ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში**

არსებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა არის წინა წლის ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის შესაბამისი, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბანკის მიერ მიღებულ იქნა ბასს 39-ის “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება”; ფინანსური გარანტიები: ცვლილებები, რომლებიც ვრცელდება 2006 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდებზე. ცვლილებები ეხება გარანტორის მიერ გაცემული ფინანსური გარანტიის აღრიცხვას. ბასს 39-ის შესაბამისად, ფინანსური გარანტიები თავდაპირველად აღიარებულია სამართალიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი გადაფასება ბასს 37-ს – “ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები” და თავდაპირველად აღიარებულ თანხას შორის უმეტესით, რასაც რიგ შემთხვევაში აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია აღიარებული ბასს 18-ის - “ამონაგები” შესაბამისად.

აღნიშნული ცვლილებების მიღებას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**"ფასს" და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის ინტერპრეტაციები („ფასიკი“), რომლებიც ძალაში არ შესულა**

ბანკს არ მიუღია შემდეგი "ფასს" და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემულ იქნა, მაგრამ ძალაში არ შესულა:

- ფასს 7 “ფინანსური ინსტრუმენტები: ახსნა-განმარტებები”;
- ბასს 1 ცვლილებები: “ფინანსური ანგარიშგების წარდგენა” – “კაპიტალის ახსნა-განმარტებები”;
- ფასიკი 8 “ფასს 2-ის ჩარჩოები”;
- ფასიკი 9 “ჩართული დერივატივების გადაფასება”;
- ფასიკი 10 “შუალედური ფინანსური ანგარიშგება და გაუფასურება”;
- ფასიკი 11 “ფასს 2 – ოპერაციები სახაზინო აქციებით”;
- ფასიკი 12 “სადისკონტო მომსახურების შეთანხმებები”

ბანკს მიაჩნია, რომ ზემოთაღნიშნულის ძალაში შესვლა არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, გარდა “ფასს” 7-ისა, რომელიც საშუალებას მისცემს ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს შეაფასონ ბანკის ფინანსური ინსტრუმენტების არსებითობის ხარისხი, მათი შინაარსი, დაკავშირებული რისკების ზომა, ბანკის მიზნები, პოლიტიკები და პროცესები მიმართული კაპიტალის მართვისაკენ.

**რეკლასიფიკაცა**

შემდეგი რეკლასიფიკაციები განხორციელდა 2005 წლის საბალანსო ანგარიშგებაში 2006 წლის წარდგენის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით:

თანხა	თავდაპირველი	რეკლასიფიკაციის ცირებული	კომენტარი
დაკავშირებულ მხარეთა თანხები	7,200	-	დაკავშირებულ მხარეთა თანხების რეკლასიფიკაცია დაკავშირებულ მხარეთა თანხების მუხლიდან სუბორდინირებული სესხის მუხლზე და საკრედიტო დაწესებულებების თანხების მუხლზე
სუბორდინირებული სესხი	-	5,379	სუბორდინირებული სესხის რეკლასიფიკაცია დაკავშირებულ მხარეთა მუხლიდან სუბორდინირებული სესხის მუხლზე
საკრედიტო დაწესებულებების თანხები	1,610	3,431	დაკავშირებულ მხარეთა სხვა სესხების რეკლასიფიკაცია დაკავშირებულ მხარეთა თანხების მუხლიდან სუბორდინირებული სესხის მუხლზე

(ათას ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა

#### ფინანსური აქტივები

ბასს 39-ე სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, სესხებად და მოთხოვნებად, ვადამდე ფლობილ ფასიან ქალაქებად თუ გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას, მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ ინვესტიციებისათვის, რომლებიც არ აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. ბანკი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

როგორც წესი ფინანსური აქტივების გაყიდვებისა და შესყიდვების აღიარება ხდება სავაჭრო ოპერაციის დღეს, ანუ იმ თარიღით, როდესაც ბანკი შეისყიდის აქტივს. ჩვეულებრივ, ფინანსური აქტივების შესყიდვა და გაყიდვა ისეთი ოპერაციებია, რომლებიც მოითხოვენ აქტივის მიტანას დანიშნულების პუნქტამდე კანონმდებლობით თუ საბაზრო პირობებით რეგულირებად პერიოდში.

*ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით*

სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივები შესულია კატეგორიაში "ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით". ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია როგორც სავაჭროდ ფლობილი იმ შემთხვევაში, თუ ისინი შექმნილია ახლო მომავალში გაყიდვის მიზნით. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აგრეთვე კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, თუკი ისინი განისაზღვრება როგორც ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტები. სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივებიდან მოგება-ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

*ვადამდე ფლობილი ინვესტიციები*

ფინანსური აქტივები რომლებიც არ წარმოადგენენ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს და გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრადი დაფარვების გრაფიკი და ფიქსირებული ვადა, კლასიფიცირდებიან როგორც ვადამდე ფლობილი, როდესაც ბანკს შესწევს მათი ვადამდე ფლობის უნარი. ეს განსაზღვრება არ მოიცავს განუსაზღვრელი ვადის მქონე ინვესტიციებს. ვადამდე ფლობილი ინვესტიციები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით. ეს ღირებულება გამოითვლება როგორც თავდაპირველად აღიარებულ თანხას გამოკლებული ყველა შემდგომი დაფარვა, დამატებული ან გამოკლებული აკუმულირებული ამორტიზაცია რომელიც გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, თავდაპირველად აღიარებულ თანხასა და ვადის ამოწურვისას არსებულ თანხას შორის სხვაობასთან მიმართებაში. ეს გამოთვლა მოიცავს ნებისმიერ გასამრჯელოსა და მიღებულ თუ გადახდილ თანხებს მხარეებს შორის ხელშეკრულებით, რომლითაც განსაზღვრულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, ოპერაციის საკომისიო და სხვა პრემიები თუ ფასდაკლებები. ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ინვესტიციებისათვის მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ხდება ინვესტიციის ჩამოწერა, ან გაუფასურება, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

*სესხები და მოთხოვნები*

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული თუ განსაზღვრადი დაფარვების გრაფიკი, რომელთა კოტირება არ ხდება ბაზარზე. ასეთი აქტივები აღრიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება სესხისა და მოთხოვნის ჩამოწერისას, გაუფასურებისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

(ათას ლარში)

**3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)****ფინანსური აქტივები (გაგრძელება)***გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები*

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები ის არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომლებიც განსაზღვრულია გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად ან არ არის გათვალისწინებული ზემოთაღნიშნულ სამ კატეგორიაში. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებისა და ზარალის ცალკეულ კომპონენტად აღიარებით კაპიტალში, ინვესტიციის ჩამოწერამდე თუ გაუფასურებამდე, როდესაც კაპიტალში აღრიცხული აკუმულირებული მოგება თუ ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაანგარიშებული საპროცენტო განაკვეთის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსურ ბაზარზე გასაყიდად არსებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასდადებით ბალანსის შედგენის დღეს. ინვესტიციებისათვის, რომელთა საბაზრო პირობებთან შედარებაც ვერ ხერხდება, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. ამგვარი მეთოდი გულისხმობს სამართლიან პირობებზე დაყრდნობით წარმოებული უწინარი საბაზრო გარიგებების გამოყენებას, მსგავსი ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო ღირებულებაზე დაყრდნობას და დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზს.

**გაქვითვა**

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა და მათი წმინდა თანხით საბალანსო ანგარიშგებაში აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და მათი წმინდა სახით დაფარვის განზრახვა, ან განზრახვა მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების მყისიერი დაფარვა.

**ფული და ფულადი ეკვივალენტები**

ფული და ფულადი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, მოთხოვნების ეროვნული ბანკისადმი (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც გააჩნიათ გამოცემიდან 90 დღიანი ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

**წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები**

საქმიანობის ჩვეულებრივი მსვლელობისას ბანკი აწარმოებს გაცვლით ოპერაციებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით სავალუტო და ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე. ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტები წარმოადგენენ სავაჭროდ ფლობლს. ისინი თავდაპირველად აღიარებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარების პოლიტიკის შესაბამისად და ასახულია სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასდადებით ან ფასდადების მოდელის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია აღნიშნული ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო და საკონტრაქტო ფასი და სხვა ფაქტორები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება როგორც აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია ან როგორც ვალდებულებები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. მოგება და ზარალი აღნიშნული ინსტრუმენტებიდან ჩართულია მოგება ზარალის ანგარიშგებაში როგორც სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდებიდან მოგებას გამოკლებული ზარალი ან სავალუტო ოპერაციებიდან მოგებას გამოკლებული ზარალი, გამომდინარე ინსტრუმენტის ბუნებიდან.

(ათას ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### სესხები

სესხები რომლებიც მოიცავს ვალდებულებებს ეროვნული ბანკის, საკრედიტო დაწესებულებების და მეანაბრების წინაშე, აგრეთვე სასესხო ვალდებულების სახით გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს, აღიარებულია მიღებული საფასურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება შესაბამისი საოპერაციო საკომისიო. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, სესხების შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარება ხდება ვალდებულების ჩამოწერისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

#### ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი

ბანკი საბალანსო ანგარიშგების შედგენის დღეს აღრიცხავს ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურებას.

#### ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივები

თუ მოსალოდნელია ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი დაანგარიშებულია თავდაპირველი აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უზრუნველყოფის მქონე ფინანსური აქტივის მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშება ასახავს იმ ფულად ნაკადებს, რომლებიც შესაძლოა გამოწვეულ იყოს უზრუნველყოფის გამოყენებით, გამოკლებული უზრუნველყოფის მოპოვებასა და მის შემდგომ რეალიზაციაზე გაწეული ხარჯები, განურჩევლად იმისა, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის გამოყენება.

თავდაპირველად ბანკი აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი მნიშვნელოვანი გავლენის მქონე აქტივებისათვის ინდივიდუალურად ან კოლექტიურად. თუ დადგინდა, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური საფუძველი, იმისდა მიუხედავად, არის თუ არა აღნიშნული აქტივი მნიშვნელოვანი გავლენის მქონე, აქტივის ჩართვა ხდება ანალოგიური რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში. აღნიშნული ფინანსური აქტივების ჯგუფში შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ერთობლივად. აქტივები, რომელთა გაუფასურებასთან მიმართებაში შეფასება ხდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ არის ჩართული აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ, შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდგომ მოვლენას, ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის შებრუნება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი შებრუნება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ პირობით, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზირებულ ღირებულებას შებრუნების დღეს.

როდესაც სესხი ჩაითვლება უიმედოდ, ხდება მისი ჩამოწერა სესხის გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან. ამგვარი სესხების ჩამოწერა ხდება მას შემდეგ, რაც დასრულდება ყველა სავალდებულო პროცედურა და განისაზღვრება ზარალის თანხა. ჩამოწერილი თანხების ხელახლა აღრიცხვა ამცირებს ფინანსური აქტივის გაუფასურების დანარიცხს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(ათას ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

როდესაც ხდება გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის გაუფასურება, თანხა რომელიც მოიცავს სხვაობას აქტივის ღირებულებას (ყველა შემდგომი დაფარვისა და ამორტიზაციის გამოკლებით) და მის მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის (გამოკლებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი, რომელიც წინა პერიოდში აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში) გადაიტანება კაპიტალიდან მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. შებრუნება გასაყიდად არსებულ კაპიტალის ინსტრუმენტებთან მიმართებაში არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალის შებრუნება სესხის სახით არსებულ ინსტრუმენტებზე ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით თუ ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების მატება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების ზარალის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარების შემდგომ მოვლენას.

#### ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამოწერა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან ზოგ შემთხვევაში ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწერა აქტივის მიერ ფულადი ნაკადების შემოტანის ვადა;
- ბანკმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე მესამე პირებისათვის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ბანკის მიერ (ა) გადაცემულ იქნა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ბანკის მიერ გადაცემულ იქნა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკის მიერ გადაცემულ იქნა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ მომხდარა რისკებისა და სარგებლის გადაცემა, თუ აქტივზე კონტროლის გადაცემა, ბანკის მიერ აქტივის აღიარება ხდება შემდგომი ხანგრძლივი ჩართულობის გათვალისწინებით. გადაცემული აქტივის შემდგომი ხანგრძლივი ჩართულობა ერთგვარი გარანტიის ფორმით აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ბანკის მიერ სავარაუდო გადასახდელი საფასურის მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

როდესაც ხანგრძლივი ჩართულობა მიიღებს გადაცემულ აქტივზე წერილობითი და/ან შექმნილი ოფციონის ფორმას (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), ბანკის ჩართულობის ხარისხი წარმოადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომლითაც შესაძლებელია აქტივის გამოსყიდვა. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) სამართლიანი ღირებულებით ასახულ აქტივზე, ბანკის ჩართულობის ხარისხი შემოიფარგლება გადაცემული აქტივის სამართლიან ღირებულებასა და ოფციონის გამოყენების ღირებულებას შორის უმცირესით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც ვალდებულებები აქტივთან მიმართებაში ბათილდება, გაუქმდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე იმავე კრედიტორთან, თუმცა სხვა პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ შესწორება მიიჩნევა თავდაპირველი ვალდებულების ჩამოწერად და ახალი ვალდებულების ასახვად, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულებების სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(ათას ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის გამომანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების გამომანგარიშება ხდება ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული მოგების გადასახადები წარმოდგენილია აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის არსებულ დროებით სხვაობებზე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის თავდაპირველი აღიარებიდან თუ აქტივიდან და ვალდებულებიდან იმ ოპერაციაში, რომელიც არ არის საწარმოს გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გაეღენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება იმ პირობით, თუ არსებობს ალბათობა დასაბეგრი მოგებისა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც დადგინდა ბალანსის შედგენის დღეს.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე ინვესტიციებიდან და შვილობილი კომპანიებიდან, მეკავშირე და ერთობლივი საწარმოებიდან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც დროებითი სხვაობის შებრუნების დროის გაკონტროლება შესაძლებელია და დროებითი სხვაობის შებრუნება ახლო მომავალში არ არის მოსალოდნელი.

საქართველოში აგრეთვე მოქმედება სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი დაკავშირებული ბანკის საქმიანობასთან. ეს გადასახადები ჩართულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება. ამგვარი თანხა მოიცავს ძირითადი საშუალებების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულებას როდესაც ხარჯი წარმოიშობა და თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. შენობა ნაგებობები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება გადაფასების თარიღის შემდგომი ცვეთისა და გაუფასურების დანარცხი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

აქტივებს ცვეთა ერიცხებათ იმ თარიღიდან, როდესაც ხდება მათი მომსახურებაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის შემდეგი მანუვლებლების მიხედვით:

	<u>წლები</u>
შენობა-ნაგებობები	25
ავეჯი და მოწყობილობები	5
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე მოწყობილობები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

აქტივის ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯების დარიცხვა ხდება წარმოშობისა და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

(ათას ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას აღრიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღრიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზირებულია სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ხანგრძლივობის - 3 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ინდიკაციის არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ ხდება, თუმცა ხდება მათი გაუფასურებასთან მიმართებაში ყოველწლიურად გადახედვა ინდივიდუალურად თუ ფულადი ნაკადების მომტანი ბიზნეს ერთეულის დონეზე. ამგვარი აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის ყოველწლიური გადახედვა ხდება რათა დადგინდეს, კვლავაც ხვდებიან თუ არა აღნიშნული აქტივები ამ კატეგორიაში.

#### უზრუნველყოფიდან შერჩენილი აქტივები

უზრუნველყოფიდან შერჩენილი აქტივები ისეთი აქტივებია, რომელთა მფლობელობის უფლება გადაცემულ იქნა ბანკისათვის, რადგან ვერ მოხერხდა ბანკის მსესხებელთა მიერ ბანკისგან მიღებული სესხის დაფარვა. პრაქტიკულად, აღნიშნული აქტივები ბანკის მიერ მიღებულ იქნა მსესხებლებისგან და ისინი განისაზღვრა როგორც იმ სესხის უზრუნველყოფა, რომელიც აღნიშნულმა მსესხებლებმა ბანკისგან მიიღეს.

უზრუნველყოფიდან შერჩენილი აქტივების ბანკის მიერ აღიარება ხდება, როდესაც შესაბამისი აქტივების მფლობელობის უფლებას დაადგენს სასამართლო. უზრუნველყოფიდან შერჩენილი აქტივები აისახება თვითღირებულებით.

შემდგომში, როდესაც ბანკის მიერ ხდება უზრუნველყოფიდან შერჩენილი აქტივების რეალიზაცია, ნებისმიერი სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებული საფასურის სამართლიან ღირებულებას შორის უბრუნდება თავდაპირველ მსესხებელს.

#### რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება, როდესაც ბანკს გააჩნია წარსული მოვლენით გამოწვეული მიმდინარე იურიდიული ვალდებულება და აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მომტანი რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად, აგრეთვე შესაძლებელია ვალდებულების მოცულობის სანდოდ განსაზღვრა.

#### სეგმენტური ანგარიშგება

ბანკის ოპერაციები საკმაოდ კომპლექსურია მოიცავს მხოლოდ საბანკო სეგმენტს. შესაბამისად, ბასს 14-ის ““ანგარიშგების წარდგენა სეგმენტების მიხედვით”” თანახმად, ბანკი მოიაზრება ერთი სეგმენტის მქონე საწარმოდ. ბანკის აქტივები თავმოყრილია საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო ბანკის შემოსავლებისა და წმინდა მოგების დიდი ნაწილი გამომდინარეობს საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ოპერაციებიდან.

(ათას ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### **საპენსიო და სხვა საკომპენსაციო ვალდებულებები**

ბანკს არ გააჩნია რაიმე სახის საპენსიო სქემა, გარდა საქართველოს სახელმწიფო საპენსიო სისტემით გათვალისწინებულია, რომლის თანახმად, დამქირავებელი ვალდებულია გადარიცხოს თანხები დადგენილი პროცენტის ოდენობით მიმდინარე დარიცხული ხელფასიდან. ამგვარი ხარჯის დარიცხვა ხდება სათანადო ხელფასის გამომუშავებისას პერიოდში. ბანკს არ აქვს მოხუცებულობის პენსიები ან თანამშრომელთა სხვა სახის სარგო, რომელიც საჭიროებს დარიცხვას.

#### **საწესდებო კაპიტალი**

##### *საწესდებო კაპიტალი*

საწესდებო კაპიტალი აისახება თვითღირებულებით. მიღებული საფასურის სამართლიანი ღირებულების გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტობა აღიარებულია როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

#### **ღივიდენდები**

ღივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულებები და იქვითება კაპიტალიდან ბალანსის შედგენის დღეს მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ ისინი განცხადებულია ბალანსის შედგენის დღეს ან უფრო ადრეულ პერიოდში. ღივიდენდები განცხადებულია, როდესაც ხდება მათი შეთავაზება ბალანსის შედგენის დღემდე პერიოდში ან შეთავაზება/განცხადება ბალანსის შედგენის დღის შემდგომ, თუმცა ვიდრე მოხდებოდეს ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცება.

#### **პირობითი ვალდებულებები**

პირობითი ვალდებულებების აღიარება საბალანსო ანგარიშგებაში არ ხდება, თუმცა ხდება მათი განცხადება თუ დაფარვასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების გადინება მოსალოდნელია დროის შორ მონაკვეთში. პირობითი აქტივების აღიარება არ ხდება საბალანსო ანგარიშგებაში, თუმცა ხდება მათი განცხადება როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

#### **საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება**

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. კლიენტებზე გაცემული სესხების საკომისიო გადავადებულია (შესაბამის პირდაპირ ხარჯებთან ერთად) და აღიარებულია როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. გასამრჯელო, საკომისიო და სხვა შემოსავალი თუ ხარჯი როგორც წესი აღრიცხულია დარიცხვათა მეთოდით მომსახურების გაწევის შემდგომ.

#### **უცხოური ვალუტის კონვერსია**

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც წარმოადგენს ბანკის ფუნქციონალურ ვალუტას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღიარებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ლარში შესაბამისი გაცვლითი კურსით ბალანსის შედგენის დღეს. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერსიით გამოწვეული მოგება-ზარალი აღრიცხულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც უცხოური ვალუტით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი - საკურსო სხვაობები. არაფულადი აქტივები აღრიცხული უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით, გადაყვანილია კონვერსიის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი აქტივები აღრიცხული უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით, გადაყვანილია იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

(ათას ლარში)

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### უცხოური ვალუტის კონვერსია (გაგრძელება)

სვაობები ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და ოპერაციის დღეს არსებულ სებ-ის გაცვლით კურსს შორის ჩართულია გარიგებებში როგორც უცხოური ვალუტით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები 2006 და 2005 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენდა 1.7925 და 1.825 ლარს 1 აშშ. დოლართან მიმართებაში.

### 4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები

#### ბუღალტრული დაშვებები

ბანკის ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკასთან მიმართებაში, ხელმძღვანელობას გააჩნია შეხედულებები და შეფასებები რომელნიც ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებზე:

- *საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად კლასიფიცირება;*
- *მატერიალური და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა;*
- *საგადასახადო დანარიცხები.*

#### შეფასების განუსაზღვრელობა

შეფასების განუსაზღვრელობების ძირითად წყაროებთან მიმართებაში ბალანსის შედგენის დღეს, უნდა აღინიშნოს, რომ მათ გააჩნიათ მნიშვნელოვანი რისკი გამოიწვიონ არსებითი კორექტირებები აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში შემდგომი ფისკალური წლის განმავლობაში, როგორც აღწერილია ქვემოთ:

#### *სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი*

ბანკის მიერ რეგულარულად ხდება სესხებისა და მოთხოვნების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში. ბანკი იყენებს საკუთარ გამოცდილებაზე დაფუძნებულ შეფასებებს ნებისმიერი გაუფასურების ზარალის განსაზღვრის მიზნით იმ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელს გააჩნია ფინანსური სირთულეები და მოიპოვება ისტორიული მონაცემები ანალოგიურ მსესხებლებთან მიმართებაში. შესაბამისად, ბანკი ელის სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას რადგან არსებობს მონაცემები, რომელთა მიხედვითაც შესაძლოა ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობისა თუ დაფარვების სტატუსის გაუარესება. ხელმძღვანელობა იყენებს შეფასებებს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე და საკრედიტო რისკის მახასიათებლებზე დაყრდნობით და ობიექტურ საფუძველს ანალოგიური სესხებისა თუ მოთხოვნების ან მათი ჯგუფის გაუფასურებასთან მიმართებაში. ბანკი ეყრდნობა საკუთარ შეფასებებს სესხებისა თუ მოთხოვნების ჯგუფების სათანადო მონაცემების კორექტირებისათვის მიმდინარე მოვლენების აღრიცხვის მიზნით.

(ათას ლარში)

**5. ფული და ფულადი ეკვივალენტები**

31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულადი ეკვივალენტები შედგებოდა:

	<b>2006</b>	<b>2005</b>
ფული	3,733	734
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში	45	392
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	12,516	1,131
<b>ფული და ფულადი ეკვივალენტები</b>	<b>16,294</b>	<b>2,257</b>

2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა საკრედიტო დაწესებულებების ანგარიშებზე მოთიანი ნაშთიდან 97% განეკუთვნება ორ ქართულ ბანკს.

**6. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ**

31 დეკემბრის მდგომარეობით მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ შედგებოდა:

	<b>2006</b>	<b>2005</b>
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	5,345	782
90 დღეზე მეტი ვადის მქონე ან ვადაგადაცილებული დეპოზიტები	2,385	-
სხვა თანხები	33	78
<b>მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებებისადმი</b>	<b>7,763</b>	<b>860</b>

